

# მწვანე კლიმატის ფონდის მწვანე ეკონომიკის დაფინანსება (GCF GEFF) რეგიონალური ჩარჩო - განვრცობა II

მდებარეობა:

რეგიონალური

პროექტის ნომერი:

52401

ბიზნესის სექტორი:

საფინანსო ინსტიტუტები

შეტყობინების ტიპი:

კერძო

გარემოს დაცვის კატეგორია:

FI

დამტკიცების თარიღი:

10 მარტი 2021

სტატუსი:

კონცეფცია განხილულია

პროექტის მოკლე ანოტაციის ინგლისურად

გამოქვეყნების თარიღი:

1 თებერვალი 2021

## პროექტის აღწერა

EBRD-სა და მწვანე კლიმატის ფონდის (GCF) დაფინანსების პაკეტის მეორე განვრცობა (განვრცობა II), რომელიც ხორციელდება ბანკის მწვანე ეკონომიკის დაფინანსების საშუალებებით, გულისხმობს სესხის დაფინანსებას EBRD-ის საქმიანობის ქვეყნების საფინანსო ინსტიტუტებისთვის, კლიმატის ცვლილების შერბილებისა და ადაპტაციის ინვესტიციებისთვის. პროექტი წარმოადგენს GCF GEFF რეგიონალური ჩარჩოს მეორე განვრცობას (პროექტის ნომერი 50223).

განვრცობა II მოიცავს 497 მილიონ აშშ დოლარამდე დაფინანსების მომდევნო პაკეტის გამოყოფას, საიდანაც 373 მილიონ აშშ დოლარს უზრუნველყოფს ბანკის ჩვეულებრივი რესურსები და 124 მილიონ აშშ დოლარს მწვანე კლიმატის ფონდი; ტრანზაქცია ხორციელდება მწვანე ეკონომიკის დაფინანსების პროგრამის ფარგლებში სომხეთში, ეგვიპტეში, საქართველოში, იორდანიაში, მოლდოვაში, მონღოლეთში, მაროკოში, სერბეთში, ტაჯიკეთსა და ტუნისში.

განვრცობა II გააგრძელებს დაფინანსების გამოყოფას შესაბამისი ქვეყნების სათანადო ადგილობრივი საფინანსო ინსტიტუტებისთვის, რომლებიც ქვეყნებს გასცემენ კერძო სექტორის ბიზნესის, ფიზიკური პირების, საბინაო კოლექტივების, მაღალი დონის კლიმატური ტექნოლოგიების მიმწოდებლებისა და გამყიდველი კომპანიებისათვის, კლიმატის ცვლილების შერბილებისა და კლიმატის ცვლილების ადაპტაციის ინვესტიციებისათვის, მწვანე ეკონომიკაზე გადასვლის მხარდასაჭერად.

## პროექტის მიზნები

განვრცობა II ხელს შეუწყობს კლიმატის ცვლილების შერბილებისა და კლიმატის ცვლილების ადაპტაციის დაფინანსების ახალი და/ან არსებული ბაზრების საგრძნობ გაძლიერებას. ამით ის ხელს შეუწყობს EBRD-ის მწვანე ეკონომიკაზე გადასვლის მიდგომის სტრატეგიულ მიზანს.

განვრცობა II უზრუნველყოფს მასშტაბის გაფართოებას 6500-ზე მეტი მასშტაბური და განმეორებადი კლიმატის ცვლილების შერბილებისა და კლიმატის ცვლილების ადაპტაციის პროექტების დაფინანსებით, სამრეწველო, კომერციული, საცხოვრებელი, ტრანსპორტისა და სოფლის მეურნეობის სექტორებში. ეს მიმართული იქნება ბაზრის მრავალი არსებული ბარიერის გადალახვაზე ტექნოლოგიური მიწოდების ქსელების ფარგლებში და გააუმჯობესებს კერძო სექტორის ინვესტიციების პოტენციალს.

## შუალედური შედეგი

GCF GEFF რეგიონალური ჩარჩოს ფარგლებში, თანხების მესამე გადმორიცხვით, განვრცობა II-ის საშუალებით, გაგრძელდება ეკოლოგიურად მდგრადი, დაბალი ნახშირბადის და კლიმატის ცვლილებისადმი გამძლე ეკონომიკაზე გადასვლის ხელშეწყობა, იმ 10 ქვეყანაში, სადაც EBRD ინვესტიციებს ახორციელებს, რაც დაიცავს ამ ქვეყნების ეკონომიკას აქტიური ნახშირბადის, კლიმატისადმი დაუცველი და/ან ეკოლოგიურად საზიანო დამაბინძურებელ არეალში დარჩენისგან. ეს განხორციელდება ფინანსური შუამავლების დაფინანსებისა და ნოუ-ჰაუს უზრუნველყოფით ეფექტური "კლიმატის" ტექნოლოგიებისა და გადაწყვეტილებების დასაფინანსებლად.

## ინფორმაცია კლიენტის შესახებ

მსესხებლები იქნებიან ადგილობრივი საფინანსო ინსტიტუტები, რომლებიც შედგება ბანკების, მიკროსაფინანსო ინსტიტუტებისა და სალიზინგო კომპანიებისგან, რომლებიც მოქმედებენ შესაბამის ქვეყნებში.

## EBRD-ის დაფინანსების ჯამი

373,000,000.00 დოლარი.

## პროექტის მთლიანი ღირებულება

373,000,000.00 დოლარი.

განვრცობა II გულისხმობს 373 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის შემდგომ ტრანზაქციას, რომელიც გამოყოფა ბანკის რესურსებიდან და 124 მილიონი აშშ დოლარამდე თანხას, რომელიც გამოიყოფა მწვანე კლიმატის ფონდიდან.

## დამატებითი ფაქტორები

ადგილობრივი საფინანსო ინსტიტუტები და მათი კლიენტები GCF GEFF-ის რეგიონალური ჩარჩოს ფარგლებში ისარგებლებენ ტექნიკური დახმარებით მწვანე ქვეპროექტების იდენტიფიკაციის, შეფასებისა და დაფინანსების შესაძლებლობების გაზრდის მიზნით. ადგილობრივი საფინანსო ინსტიტუტები ასევე გამოიყენებენ EBRD-ის გამოცდილებას GCF GEFF-ის რეგიონალური ჩარჩოს შესაბამისად გენდერულად სენსიტიური მიდგომის გასაუმჯობესებლად, რაც ხელს შეუწყობს ქვემსესხებლებს, ჩამოყალიბონ მდგრადობა ცვალებადი კლიმატის პირობებში.

## გარემოს დაცვისა და სოციალური საკითხები

მინიჭებული აქვს კატეგორია FI (ESP 2019). GEFF გარიგებები მნიშვნელოვან გარემოსდაცვით შესაძლებლობებს უზრუნველყოფს. ადგილობრივ საფინანსო ინსტიტუტებს მოეთხოვებათ შეასრულონ EBRD-ის შესრულების მოთხოვნები - PR 2, 4 და 9, მათ შორის, ESP 2019-ით დადგენილი გაფართოებული არდაშვების სია და მიმართვის მოთხოვნა. შესაბამის ქვეპროექტებს მოეთხოვებათ შეასრულონ გარემოსდაცვითი, სოციალური, შრომითი, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების კანონმდებლობა, ასევე, გარემოს დაცვისა და სოციალური დასაშვებობის კრიტერიუმები, შესაბამის შემთხვევებში. ნებისმიერ ადგილობრივ საფინანსო ინსტიტუტს მოეთხოვება შეავსოს E&S სათანადო წინასწარი კვლევის კითხვარი ფინანსური ინვესტიციებისათვის და წარუდგინოს ESD-ის განსახილველად, რომ დადგინდეს მათი შესაბამისობა PR-ებთან. ყველა ადგილობრივ საფინანსო ინსტიტუტს მოეთხოვება ყოველწლიური გარემოსდაცვითი და სოციალური ანგარიშების წარდგენა ბანკში და ანგარიშის წარდგენა ქვეპროექტებისა და მათი კლიმატის ცვლილების შერბილებისა და ადაპტაციის სარგებელის შესახებ.

## ტექნიკური თანამშრომლობა და საგრანტო დაფინანსება

განვრცობა II-ს ახლავს ტექნიკური მხარდაჭერის (TC) პაკეტი - დაახლ. 24 მილიონი აშშ დოლარი შესაძლებლობების განვითარების, მარკეტინგის, პროექტის შეფასებისა და ზოგადი მონიტორინგისა და ანგარიშგებისათვის. პარალელურად განხორციელდება გენდერული კომპონენტი, რომელიც ხელს შეუწყობს გენდერული სპეციფიკის მიწოდებისა და მოთხოვნის დაბრკოლებების მოგვარებას, რომლებიც დაკავშირებულია მწვანე სასესხო პროდუქტების დიზაინთან და მარკეტინგთან.

## პროექტის მოკლე ანოტაციის განახლების თარიღი

1 თებერვალი 2021

## შუალედური შედეგის შესახებ

დეტალური ინფორმაციის გაცნობა EBRD-ის შუალედური შედეგების გაზომვასთან დაკავშირებულ მიდგომაზე შესაძლებელია [აქ](#).

## ბიზნეს შესაძლებლობები

ბიზნეს შესაძლებლობებისა და შესყიდვების თაობაზე დაუკავშირდით კლიენტ კომპანიას.

EBRD-თან ბიზნეს შესაძლებლობებთან დაკავშირებული ინფორმაციის მისაღებად (რაც არ უკავშირდება შესყიდვებს) დაუკავშირდით:

ტელ: +44 20 7338 7168

ელ. ფოსტა: [projectenquiries@ebrd.com](mailto:projectenquiries@ebrd.com)

სახელმწიფო სექტორის პროექტებზე ინფორმაციისთვის ეწვიეთ [EBRD Procurement](#)-ს:

ტელ.: +44 20 7338 6794

ელ. ფოსტა: [procurement@ebrd.com](mailto:procurement@ebrd.com)

## ზოგადი საკითხები

კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებით ინფორმაციის მოთხოვნა შესაძლებელია [EBRD-ის ინფორმაციის მოთხოვნის ფორმის საშუალებით](#).

## გარემოს დაცვისა და სოციალური საკითხების პოლიტიკა (ESP)

ESP-ით და შესაბამისი შესრულების მოთხოვნებით (PR) განსაზღვრულია EBRD-ის მიერ „გარემოს დაცვისა და მდგრადი განვითარების“ მიდგომის განხორციელების გზები. ESP და PR მოიცავს კონკრეტულ დებულებებს, რომ კლიენტებმა დაიცვან ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისი მოთხოვნები საჯარო ინფორმაციისა და კონსულტაციების შესახებ; ასევე შექმნან საჩივრების მექანიზმი დაინტერესებული მხარეების მხრიდან საკითხების წამოჭრის, საჩივრების მიღების და მართვის მიზნით, უფრო კონკრეტულად, კლიენტისა და პროექტის გარემოს დაცვასა და სოციალური საქმიანობასთან დაკავშირებით. პროექტის ეკოლოგიური და სოციალური რისკებისა და ზემოქმედების ბუნებისა და მასშტაბის შესაბამისად, EBRD დამატებით მოითხოვს კლიენტებისაგან, რომ მათ, საჭიროებისამებრ, გააზიარონ ინფორმაცია პროექტების შედეგად წარმოქმნილი რისკების და ზემოქმედების შესახებ, ან ჩაატარონ არსებითი კონსულტაციები დაინტერესებულ მხარეებთან და განიხილონ და რეაგირება მოახდინონ მიღებულ უკუგებაზე.

დეტალური ინფორმაცია EBRD-ის საქმიანობასთან დაკავშირებით მოცემულია ESP-ში.

## ერთიანი მიდგომა და სტანდარტების დაცვა

EBRD-ის მთავარი შესაბამისობის ოფიცრის ოფისი (OCCO) ხელს უწყობს კარგ მმართველობას და უზრუნველყოფს ბანკის საქმიანობის პროცესში უმაღლესი სტანდარტების შესრულებას საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით. ბანკის ყველა კლიენტის შემთხვევაში, ტარდება კომპლექსური საიმედოობის კვლევა, რომლის მიზანიც პროექტების განხორციელებისას პრინციპების დარღვევის, ან რეპუტაციის შელახვის რისკის თავიდან აცილებაა. ბანკი თვლის, რომ პროექტის შეფასების ეტაპზე, პრობლემების იდენტიფიცირება და მოგვარება, ყველაზე ეფექტური საშუალებაა საბანკო ტრანზაქციების შესაბამისობის უზრუნველსაყოფად. OCCO გადამწყვეტ როლს ასრულებს დამცავი ზომების გატარების პროცესში და ასევე, ხელს უწყობს პროექტებში ინვესტიციების განხორციელების შემდგომი რისკების მონიტორინგს.

OCCO ასევე პასუხისმგებელია თაღლითობის, კორუფციის და არასათანადო ქცევის შემთხვევების გამოძიების პროცესზე EBRD-ის მიერ დაფინანსებულ პროექტებში. ინდივიდმა, ბანკის შიგნით თუ მის გარეთ, რომელსაც გაუჩდება ეჭვი თაღლითობასთან ან კორუფციასთან დაკავშირებით, წერილობითი ანგარიში უნდა გაუგზავნოს მთავარ შესაბამისობის ოფიცერს ელექტრონულ მისამართზე:

[compliance@ebrd.com](mailto:compliance@ebrd.com). თითოეულ საკითხის შემთხვევაში, OCCO-ი დაიწყებს მოკვლევას. მოხდება თითოეული ანგარიშის, მათ შორის ანონიმურის, განხილვა. ანგარიში შეიძლება დაიწეროს ბანკის რომელიმე სამუშაო ენაზე, ან იმ ქვეყნის ენაზე, სადაც ბანკი საქმიანობს. ბანკისათვის ინფორმაციის მიწოდება უნდა მოხდეს კეთილსინდისიერად.

## ინფორმაციაზე წვდომის პოლიტიკა (AIP)

ინფორმაციაზე წვდომის პოლიტიკის დოკუმენტით, რომელიც ძალაში შევიდა 2020 წლის 1 იანვარს, განსაზღვრულია EBRD-ის მიერ ინფორმაციის გავრცელებისა და დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციის წარმოების გზები, ცნობიერების ამაღლებისა და ბანკის სტრატეგიის, პოლიტიკისა და ოპერაციების უკეთ გააზრების ხელშეწყობის მიზნით. EBRD-ის ვებგვერდზე ხელმისაწვდომი ინფორმაციის სანახავად, გთხოვთ, ეწვიოთ [ინფორმაციაზე წვდომის პოლიტიკის გვერდს](#).

კონკრეტული ინფორმაციის მოთხოვნა შესაძლებელია [EBRD-ის ინფორმაციის მოთხოვნის ფორმის გამოყენებით](#).

## პროექტის ანგარიშვალდებულების დამოუკიდებელი მექანიზმი (IPAM)

თუ კლიენტთან ან ბანკთან, გარემოს დაცვის, სოციალური ან საჯაროობის პრობლემების მოგვარების მცდელობა წარუმატებელია (მაგ., კლიენტის მიერ პროექტის დონის საჩივრების მექანიზმის საშუალებით ან ბანკის მენეჯმენტთან უშუალო კომუნიკაციის გზით), ინდივიდებსა და ორგანიზაციებს შეუძლიათ მიმართონ EBRD-ის პროექტის ანგარიშვალდებულების დამოუკიდებელ მექანიზმს.

IPAM-ი დამოუკიდებელად განიხილავს პროექტის ირგვლივ წამოჭრილ იმ საკითხებს, რომლებმაც გამოიწვიეს, ან შესაძლოა, გამოიწვიონ ზიანი. მექანიზმის მიზანია - პროექტის დაინტერესებულ მხარეებს შორის დიალოგის ხელშეწყობა გარემოს დაცვის, სოციალური და საჯაროობის საკითხების გადასაჭრელად; ასევე, იმის დადგენა, არის თუ არა ბანკი შესაბამისობაში [გარემოს დაცვით და სოციალური პოლიტიკასა](#) და [ინფორმაციის ხელმისაწვდომობის პოლიტიკის](#) კონკრეტულ პროექტთან დაკავშირებულ დებულებებთან; და სადაც ეს რელევანტურია, აღნიშნულ პოლიტიკის დოკუმენტებთან ნებისმიერი შეუსაბამობის აღმოფხვრა და ბანკის მიერ მომავალი შეუსაბამობის თავიდან აცილება.

გთხოვთ, ეწვიოთ პროექტის ანგარიშვალდებულების დამოუკიდებელი მექანიზმის ვებგვერდს, რათა გაარკვიოთ, თუ როგორ უნდა შეიტანოთ განსახილველი

მოთხოვნა [კონფიდენციალური ონლაინ ფორმის](#) საშუალებით, [ელ.ფოსტით](#), [ფოსტით ან ტელეფონით](#). IPAM-ი მზად არის განიხილოს მოთხოვნების შეტანასა და შესრულებასთან დაკავშირებული საკითხები და პასუხის გაცემა ნებისმიერ კითხვას, [პროექტის ანგარიშვალდებულების პოლიტიკასა](#) და [სახელმძღვანელოსთან](#) შესაბამისობაში. მოთხოვნის შესაბამისად, შესაძლოა, განმცხადებელთა იდენტობების კონფიდენციალურობის დაცვა.

გააზიარეთ ეს გვერდი: